დამტკიცებული სსიპ
კოლეჯის ,,აისი“
დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის
N 02-01-187 ბრძანებით
შევიდა ცვლილება
სსიპ კოლეჯის ,,აისი“
დირექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს
N02-01-237 ბრძანებით
შევიდა ცვლილება
სსიპ კოლეჯის ,,აისი“
დირექტორის 2022 წლის 14 მარტის
N02-01-77 ბრძანებით
შევიდა ცვლილება
სსიპ კოლეჯის ,,აისი“
დირექტორის 2022 წლის 13 სექტემბრის
N02-01-318 ბრძანებით
შევიდა ცვლილება
სსიპ კოლეჯის ,,აისი“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2023 წლის 8 სექტემბრის
N02-01-278 ბრძანებით
შევიდა ცვლილება
სსიპ კოლეჯის ,,აისი“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2024 წლის 11 იანვრის
N02-01-05 ბრძანებით
შევიდა ცვლილება
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2024 წლის 28 ივნისის
N02-01-147 ბრძანებით
შევიდა ცვლილება
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2024 წლის 20 სექტემბრის
N02-01-233 ბრძანებით

სსიპ კოლეჯის ,,აისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) ჩარიცხვის წესი და პირობები (შემდგომში - წესი) ადგენს სსიპ კოლეჯში ,,აისი“ პროგრამაზე პირთა ჩარიცხვის პროცედურას.

მუხლი 2. წესის მიზანი

1. ამ წესის მიზანია პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის რეგულირება, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

2. პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზანია დეცენტრალიზებული, სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური და გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1.დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, სსიპ კოლეჯი ,,აისი“ (შემდგომში - კოლეჯი) მიმართვის შემთხვევაში ვალდებულია დაინტერესებულ პირს:

ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;

ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;

გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის დადგენა.

4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის

განმავლობაში.

თავი II
პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება

მუხლი 4. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

მუხლი 5. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.“

2. იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართაც დაწყებულია პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება და პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭებათ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, უფლება აქვთ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში უზრუნველყონ ახალ პროგრამებზე მიღების გამოცხადება ელექტრონულ ანკეტა-კითხვარში.

3. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს კოლეჯის მიერ მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია კოლეჯის, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყარო.ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, კოლეჯი ვალდებულია მიღება გამოაცხადოს ორი სასწავლო გეგმით (სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დაწესებულებების და მათი პროგრამების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მართვის სისტემისთვის მიწოდებული მონაცემები, რომლებიც აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო ამავე სისტემაში კოლეჯის მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია თავად კოლეჯი.

6. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ

პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;
გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.
7. მართვის სისტემა ამუშავებს ანკეტა-კითხვარში ასახულ მონაცემებს ელექტრონულად და განათავსებს სარეგისტრაციო სისტემაში.
8. ამ წესის მე-8 მუხლის 23-ე პუნქტის „8“ ქვეპუნქტით, მე-9 მუხლის 20-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-10 მუხლის მე-22 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეიტინგული სიების კოლეჯისათვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.“;

მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.

2. სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს. მასში აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე აპლიკანტის პერსონალური მონაცემები გროვდება ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ვერიფიკაციის გზით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის მიზნებისთვის მართვის სისტემა უფლებამოსილია, სარეგისტრაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახულ ფიზიკურ პირთა იდენტიფიცირების/ვერიფიკაციის ან/და მათი მოქალაქეობრივი მდგომარეობის/კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სტატუსის არსებობის ფაქტის დადგენის/გადამოწმების მიზნით, მიიღოს და დაამუშავოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული, ფიზიკური პირის შემდეგი პერსონალური მონაცემები:

ა) სახელი, გვარი;

ბ) პირადი ნომერი;

გ) დაბადების თარიღი;

დ) სქესი;

ე) მოქალაქეობა;

ვ) რეგისტრაციის მისამართი;

ზ) ფოტოსურათი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებზე ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ XIV თავით განსაზღვრული წესები – სისტემის უსაფრთხოებასა და სისტემაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.

5. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

6. ელექტრონული რეგისტრაციისას შესავსები ველების ჩამონათვალი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს შეზღუდული აქვს პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება, გარდა ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტისა.

9. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

10 რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.

11. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში.

12. მართვის სისტემა უფლებამოსილია აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნებისთვის, რეგისტრაციის პროცესში პირის ვერიფიკაცია განახორციელოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემებით.

13. მართვის სისტემა აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე, აპლიკანტის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციას, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაცვის მიზნით, ამოწმებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში, აპლიკანტის შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში.

14. ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

15. აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომ – ცენტრი) იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

თავი III
აპლიკანტთა შერჩევა

მუხლი 7. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.";
2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.
3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა ამ წესის 24-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 8. შერჩევა საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით განსაზღვრულ ვადაში.თითოეულ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე /collegeaisi.ge/, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.
2. საბაზისო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შერჩევის ჩატარების თარიღს (თითოეული პროფესიის მიხედვით) აპლიკანტს/აპლიკანტებს აცნობებს კოლეჯი შერჩევის თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშოა დღით ადრე, ელექტრონული ფოსტით ანდა სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით,აპლიკანტს ასევე ეცნობება შერჩევის ფორმის ჩატარების შესახებ.
3. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების/ტესტირების/შემოქმედებებითი სპეციალური ტურის/პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევების ანალიზის ფორმით, რომელსაც განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი .
4. შერჩევის (გასაუბრების/ტესტირების,შემოქმედებებითი სპეციალური ტურის/პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევების ანალიზის ფორმით) ჩატარების წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.
5. შერჩევას ატარებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია;
6. შერჩევა ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ აუდიტორიაში ან სხვა ალტერნატიურ ფართში.
7. შერჩევის კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები.
8. შერჩევის კომისიის შემადგენლობა:
   ა) პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლისაგან/წარმომადგენლებისაგან;
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელისაგან/წარმომადგენლებისაგან.
9. აპლიკანტის შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.
10. კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით წინასწარ დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
11. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ კომისიას თითოეული აპლიკანტის შეფასების

შედეგების შესახებ ქულები შეაქვს აპლიკანტთა შერჩევის კომისიის ოქმში რომელიც ასევე წინანსწარ მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

12. მინიმალური და მაქსიმალური კომპეტენციის ზღვრები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
13. კომისიის მიერ ხდება კონკურსის შედეგების განხილვა და იმ აპლიკანტების გამოვლენა, ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მოიპოვა საკონკურსო უპირატესობა.
14. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსის შედეგები აისახება შესაბამისი სხდომის ოქმში;
15. კოლეჯი ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
16. საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასება ხორციელდება აპლიკანტის/მისი კანონიერი წარმომადგენელის მიერ კოლეჯის დირექტორისათვის განსხვავებულ თარიღში შეფასების ჩატარებისათვის წერილობითი განცხადებით მიმართვის საფუძველზე, (საჭიროების შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი მტკიცებულება მაგ: ფორმა ასი და ა.შ.)კოლეჯის დირექტორის მიერ განცხადების განხილვის შემდგომ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ეცნობება აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს და კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტს სადაც იქნება განსაზღვრული შეფასების თარიღი და შეფასების ჩატარების პირობები;უარყოფითი პასუხის შემთხვებაში კი გადაწყვეტილების მიღებისთანავე პასუხი ეცნობება აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს.
17. აპელაციის წესი და ვადები:

ა) აპლიკანტს შერჩევის შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შედეგის გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. აპლიკანტი შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც იმავე დღეს ქმნის სპეციალურ კომისიას, განსხვავებული შემადგენლობით, ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

18. კომისიის მდივანი ინახავს აპლიკანტთა შედეგების ამსახველ დოკუმენტებს ჩარიცხვის პროცესის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.
19. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
20. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-21 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
21. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
22. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

23. მართვის სისტემა, სარეგისტრაციო სისტემაში, უზრუნველყოფს:
    ა) კოლეჯისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
    ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
24. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

მუხლი 9. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე,სადაც შერჩევის მეთოდათ განსაზღვრულია ტესტირება

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.
2. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად შეფასება შესაძლოა განხორციელდეს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით და კოლეჯი უფლებამოსილია შერჩევის ძირითად მეთოდად ანკეტა-კითხვარის შევსების ეტაპზე, ამ პროგრამებისთვის, განსაზღვროს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება.
3. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. კოლეჯი უფლებამოსილია ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შეფასების გარდა, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შერჩევის დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:

ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;

ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;

გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;

დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;

ე) აპელაციის წესსა და ვადებს;

ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;

ზ) კოლეჯის მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თითოეულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამასთან, შეფასება უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-7 მუხლის მე-2

პუნქტის საფუძველზე დადგენილ შერჩევის პერიოდში. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

6. კოლეჯი ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმით.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ კოლეჯის წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს კოლეჯი პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.

8. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეჯის შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და კოლეჯმა უნდა განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

9. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.

10. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-8 ან მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.

11. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კოლეჯი უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევაზე.

12. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საბოლოო შედეგის გაანგარიშების მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და კოლეჯის შეფასების შედეგების განთავსებას ერთიან სკალაზე, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მეთოდით. თითოეული შეფასების შედეგის ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.

13. იმ საშუალო პროფესიულ პროგრამისთვის, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და კოლეჯის შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

14. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და კოლეჯის შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

15. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-16

პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

16. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

17. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:

ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება.

18. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული რეიტინგული სიის შედგენისას აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

19. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

20. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:

ა) კოლეჯისათვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 10. შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომში - რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამა) აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით განსაზღვრულ ვადაში.თითოეულ აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე /collegeaisi.ge/, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს

2 სამუშაო დღით ადრე.აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

2. რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამაზე შერჩევის ჩატარების თარიღს (თითოეული პროფესიის მიხედვით) აპლიკანტს/აპლიკანტებს აცნობებს კოლეჯი შერჩევის თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშოა დღით ადრე, ელექტრონული ფოსტით ანდა სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით,აპლიკანტს ასევე ეცნობება შერჩევის ფორმის ჩატარების შესახებ.
3. რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების/ტესტირების/პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევების ანალიზის ფორმით, რომელსაც განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი .
4. შერჩევის (გასაუბრების/ტესტირების/პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევების ანალიზის ფორმით) ჩატარების წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. ტესტირების დროს წინასწარ შედეგენილი ტესტები (თიოეული პროფესიის მიხედვით) მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.
5. შერჩევას ატარებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია;
6. შერჩევა ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ აუდიტორიაში ან სხვა ალტერნატიურ ფართში.
7. შერჩევის კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები.
8. შერჩევის კომისიის შემადგენლობა:
   ა) პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლისაგან/წარმომადგენლებისაგან;
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელისაგან/წარმომადგენლებისაგან.
9. აპლიკანტის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
10. შერჩევისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით წინასწარ დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
11. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ კომისიას თითოეული აპლიკანტის შეფასების შედეგების შესახებ ქულები შეაქვს აპლიკანტთა შერჩევის კომისიის ოქმში რომელიც ასევე წინანსწარ მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.
12. მინიმალური და მაქსიმალური კომპეტენციის ზღვრები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
13. კომისიის მიერ ხდება კონკურსის შედეგების განხილვა და იმ აპლიკანტების გამოვლენა, ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მოიპოვა საკონკურსო უპირატესობა.
14. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსის შედეგები აისახება შესაბამისი სხდომის ოქმში;
15. კოლეჯი, ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
16. საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასება ხორციელდება აპლიკანტის/მისი კანონიერი წარმომადგენელის მიერ კოლეჯის დირექტორისათვის

განსხვავებულ თარიღში შეფასების ჩატარებისათვის წერილობითი განცხადებით მიმართვის საფუძველზე, (საჭიროების შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი მტკიცებულება მაგ: ფორმა ასი და ა.შ.)კოლეჯის დირექტორის მიერ განცხადების განხილვის შემდგომ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ეცნობება აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს და კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტს სადაც იქნება განსაზღვრული შეფასების თარიღი და შეფასების ჩატარების პირობები;უარყოფითი პასუხის შემთხვებაში კი გადაწყვეტილების მიღებისთანავე ეცნობება აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს.

17. აპელაციის წესი და ვადები:

ა) აპლიკანტს შერჩევის შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება

წარმოეშობა შედეგის გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. აპლიკანტი შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც იმავე დღეს ქმნის სპეციალურ კომისიას, განსხვავებული შემადგენლობით, ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

18. კომისიის მდივანი ინახავს აპლიკანტთა შედეგების ამსახველ დოკუმენტებს ჩარიცხვის პროცესის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.
19. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას.
20. კოლეჯი რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
21. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
22. მართვის სისტემა, სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:

ა) კოლეჯისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

23. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ პროგრამებზე, რომელთა განხორციელების ერთადერთ შესაძლებლობად საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტის მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ამ შემთხვევაში, შერჩევა ხორციელდება შესაბამისი სახის პროგრამისთვის დადგენილი წესით.

თავი IV
ტესტირება

მუხლი 11. ტესტირებაში მონაწილეობის უფლება

ტესტირებაში მონაწილეობს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომლისთვისაც, შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება.

მუხლი 12. ტესტირების შინაარსი

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აუცილებელია ტესტირების გავლა აკადემიური უნარებში.
2. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, შესაძლებელია კოლეჯის მიერ მოთხოვნილი იყოს ტესტირების გავლა აკადემიურ უნარებში.
3. ჩასაბარებელი ტესტების საგამოცდო პროგრამას, ცენტრის წარდგინებით, ამტკიცებს მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. ჩასაბარებელი ტესტების შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, ა(ა)იპ – პროფესიული უნარების სააგენტოს წარდგინებით, ამტკიცებს მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროს შესაბამისად, აკადემიური უნარების ტესტირება შეიძლება დაწესდეს:

ა) წიგნიერებაში;

ბ) რაოდენობრივ წიგნიერებაში;

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმიის კომპონენტი და/ან ფიზიკის კომპონენტი და/ან ბიოლოგიის კომპონენტი).

6. თუ სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროსთვის განისაზღვრა ტესტის რამდენიმე ტიპი, აპლიკანტი აბარებს ამ ტესტის ყველა ტიპს.

მუხლი 13. ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები

1. ტესტირების კოორდინაციას და ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში საგამოცდო ცენტრების მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო.
2. მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესის ადმინისტრირებას, საგამოცდო ცენტრების მიხედვით აპლიკანტთა განაწილებას შერჩეული საგამოცდო ცენტრების მიხედვით.
3. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს ტესტირების პროცესის კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფას, ხოლო ტესტირების პროცესში, საგამოცდო ცენტრებში სპეციალური კომპიუტერული პროგრამების ინსტალაციასა და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მართვის სისტემა.
4. ცენტრი უზრუნველყოფს ტესტირების ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ამ მიზნით, ცენტრი:

ა) შეიმუშავებს ტესტირებისთვის სხვადასხვა სირთულის დავალებებს;

ბ) ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საგამოცდო პროგრამის/პროგრამების შემუშავებასა და სამინისტროში დასამტკიცებლად წარდგენას;

გ) უზრუნველყოფს საცდელი ტესტირების ჩატარებას, რომლის საფუძველზეც დგინდება დავალებების საბოლოო ფორმატი და სამუშაო დრო;

დ) მართვის სისტემის მიერ მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს ტესტირებისთვის ადამიანური რესურსის მობილიზებასა და ტესტირების ჩატარებისთვის სხვა საორგანიზაციო საკითხების განხორციელებას;

ე) სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) ფსიქოსაგანმანათლებლო

შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების (შემდგომ – ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი/სპეციალისტები) დასკვნის საფუძველზე ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს იმ აპლიკანტებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება გადაადგილებაში, ტესტი გაზრდილი შრიფტით (შრიფტის ზომა არაუმეტეს 20-ისა) ან/და ტესტირების დროის გახანგრძლივება (არაუმეტეს გაორმაგებული დროისა).

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მართვის სისტემის მიერ შერჩეული სამინისტროს სისტემაში შემავალი ის იურიდიული პირი, რომლის შენობაშიც განთავსებულია საგამოცდო ცენტრი ვალდებულია:

ა) სამინისტროს/მართვის სისტემის მიმართვის შემთხვევაში გამოყოს შესაბამისი შენობა ან მისი ნაწილი;

ბ) ტესტირების დაგეგმვისა და მიმდინარეობის დროს შეასრულოს მართვის სისტემისა და ცენტრის თანამშრომლების მითითებები;

გ) გამოყოს აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი;

დ) ტესტირების პერიოდში დაიცვას საგამოცდო ცენტრში წესრიგი და არ დაუშვას ტესტირებისთვის გამოყოფილ შენობაში/შენობის ნაწილში სხვა პირების დაშვება, გარდა ცენტრის, სამინისტროსა და მართვის სისტემის მიერ მივლინებული პირებისა;

ე) დაიცვას და არ დააზიანოს საგამოცდო ცენტრში ტესტირების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით განთავსებული ქონება;

ვ) აიღოს მატერიალური პასუხისმგებელობა სამინისტროს, ცენტრისა და მართვის სისტემის იმ მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობებზე, რომლებიც ინახება და გამოიყენება საგამოცდო ცენტრში;

ზ) ხელი შეუწყოს ცენტრის მიერ საცდელი ტესტირებების ჩატარებას, მათ შორის, ცენტრის მიმართვის შემთხვევაში ცენტრს გამოუყოს შენობის ნაწილი;

თ) შეასრულოს სამინისტროს/მართვის სისტემის/ცენტრის კონკრეტული მითითებები ტესტირების დაგეგმვისა და მიმდინარეობის პერიოდში;

ი) უზრუნველყოს სხვა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტესტირების ჩატარებას.

მუხლი 14. საგამოცდო ცენტრების შერჩევა და აპლიკანტთა განაწილება

1. ტესტირების დაგეგმვის მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს კონკრეტულ მუნიციპალიტეტში საგამოცდო ცენტრების შერჩევას, რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

2. მართვის სისტემა რეგისტრაციის დასრულებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, ცენტრთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს შერჩეული საგამოცდო ცენტრების შესაბამისად აპლიკანტთა განაწილებას. ამ მიზნით:

ა) მართვის სისტემა რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ტესტირების ჩატარებამდე 10 დღით ადრე ცენტრს ელექტრონული ფორმით აწვდის ინფორმაციას საგამოცდო ცენტრების, რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობის, აპლიკანტისათვის სასურველი საგამოცდო ქალაქის/მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობისა და მათ მიერ ჩასაბარებელი ტესტის ტიპის/ტიპების შესახებ;

ბ) ცენტრი ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში, მართვის სისტემას ელექტრონული ფორმით აწვდის აპლიკანტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილების თაობაზე ინფორმაციას (აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საგამოცდო ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საგამოცდო ცენტრის მისამართი, ჩასაბარებელი ტესტი, ტესტირების ენა, ტესტირების ჩატარების დრო).

3. სამინისტრო, ტესტირებამდე 7 სამუშაო დღით ადრე, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების შეფასების საფუძველზე, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს ინფორმაციას იმ აპლიკანტთა თაობაზე, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება გადაადგილებაში, ტესტი გაზრდილი შრიფტით (შრიფტის ზომა არაუმეტეს 20-ისა) ან/და ტესტირების დროის გახანგრძლივება (არაუმეტეს გაორმაგებული დროისა). მართვის სისტემა, მომდევნო სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს ამ მონაცემების ცენტრისთვის მიწოდებას ელექტრონული ფორმით.

მუხლი 15. საგამოცდო ბარათი

1. თითოეულ აპლიკანტზე, რომელიც დარეგისტრირდა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, რომელზეც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, სარეგისტრაციო სისტემაში გენერირდება საგამოცდო ბარათი.
2. საგამოცდო ბარათში მითითებული უნდა იყოს აპლიკანტის შემდეგი პერსონალური მონაცემები – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი და აპლიკანტის ფოტოსურათი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აპლიკანტის ფოტოსურათი ფიქსირდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ბარათში ასევე მიეთითება ის საგამოცდო ცენტრი, სადაც აპლიკანტი გაივლის ტესტირებას, ჩასაბარებელი ტესტი, ტესტირების ჩატარების თარიღები და ტესტირებაზე რეგისტრაციის დაწყების დრო.

მუხლი 16. ტესტირების პროცესი

1. ტესტირების პროცესი (მათ შორის, ტესტირების მიმდინარეობასთან და ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები) რეგულირდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად.

2. აპლიკანტმა ტესტირებაზე გასვლის მიზნით უნდა გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციისას აპლიკანტი წარადგენს: პირადობის (ბინადრობის) მოწმობას/პასპორტს, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებულ განაცხადს/განცხადება-ანკეტას, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი. ასევე, აპლიკანტი წარადგენს სარეგისტრაციო სისტემიდან საგამოცდო ბარათს.

მუხლი 17. შედეგები

ამ წესის მე-9 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებული რეიტინგული სიის შედგენის მიზნით:

ა) ცენტრი, ტესტირებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში, მართვის სისტემას ელექტრონული ფორმით აწვდის აპლიკანტთა ტესტირების შედეგებს;

ბ) კოლეჯი, ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით შერჩევისთვის განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში

თავი V

შედეგების გამოცხადება და ჩარიცხვა

მუხლი 18. საბოლოო არჩევანი შედეგების გამოცხადება

ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილი შერჩევის პერიოდის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მართვის სისტემა უზრუნველყოფს:

ა) კოლეჯისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სარეგისტრაციო სისტემაში, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.

მუხლი 19. კოლეჯში ჩარიცხვა

1. კოლეჯი ვალდებულია აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:

ა) 70%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ) 30%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

3. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს აპლიკანტის მიერ კოლეჯში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს და ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს; კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება:

ა) დოკუმენტების წარდგენის ფორმა;

გ) დოკუმენტების წარდგენის ვადები;

დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლებს.

4. მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესისა და ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

5. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

6. აპლიკანტი, ამ წესის მე-18 მუხლი მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდგომ, კოლეჯში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.

7. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე კოლეჯის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში.

8. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.

9. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, კოლეჯს შესაბამის პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

10. თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს.
10[1]. დაწესებულება უფლებამოსილია საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, რეიტინგული სიის გათვალიწინებით დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე (რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს) აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

11. კოლეჯი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კოლეჯის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მითითებით ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

თავი VI
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

მუხლი 20. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა
1. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:

ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

4. მართვის სისტემა, აპლიკანტთა შესაბამისი სტატუსების შესახებ ინფორმაციას, რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოითხოვს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, ხოლო „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიდან.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას კოლეჯის ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.

6. კოლეჯი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შერჩევის წესისა და პირობებით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაცია ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20[1]. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და ჩარიცხვა იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (შემდგომ – სკოლა) უფლებამოსილია აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და ჩარიცხვა განახორციელოს მის მიერ დადგენილი წესით, რომელიც ითვალისწინებს ამ წესით განსაზღვრული ჩარიცხვის პროცედურისგან განსხვავებულ ვადებსა და ეტაპებს.

2. იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (შემდგომ – პროგრამა) მიღება ცხადდება სკოლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება:

ა) პროგრამა/პროგრამები, რომელზეც ცხადდება მიღება, შერჩევისა და ჩარიცხვის ეტაპები და ვადები ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა.

3. აპლიკანტი პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, მიმართავს სკოლას და თუ აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას – დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და ამასთან, არ აქვს დაძლეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხური, სკოლა უზრუნველყოფს მის რეგისტრირებას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

4. მართვის სისტემა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ამოწმებს აპლიკანტის პროგრამაზე რეგისტრაციის ეტაპზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, აპლიკანტის შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში.

5. თუ აპლიკანტი არის ამავე სკოლის მოსწავლე, სარგებლობს უპირობოდ ჩარიცხვის უფლებით პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

6. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე რეგისტრირებული ამავე სკოლის მოსწავლეების რაოდენობა გადააჭარბებს გამოცხადებული ადგილების რაოდენობას, სკოლა ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის პროცედურებს.

7. იმ შემთხევაში, თუ ამავე სკოლის მოსწავლეებით არ შეივსო გამოცხადებული ადგილების რაოდენობა, სკოლა უფლებამოსილია დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოს შერჩევის პროცედურები, პროგრამაზე რეგისტრირებული სხვა პირებისთვის.

8. სკოლა ვალდებულია სწავლის დაწყებამდე პროფესიული სტუდენტი ჩარიცხოს პროგრამაზე და ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

9. სკოლა ვალდებულია პროფესიული სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე შეუწყვიტოს მოსწავლეს სტატუსი და შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სკოლის მიერ განხორციელებულ პროგრამაზე სწავლის დაწყების თარიღი უნდა ემთხვეოდეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სასწავლო წლის დაწყების თარიღს. “

თავი VII
უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხვა

მუხლი 21. უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვა

1. უცხოენოვან პროგრამაზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და პირთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ შესაბამისად.

თავი VIII
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები

მუხლი 22. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა

1.ყველა პირისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, ეს თავი განსაზღვრავს პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ჩარიცხვის წესს.

2. ყველა პროგრამა, რომელზეც გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3.პირს,რომელსაც ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

4. რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ პროგრამაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გადის ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შერჩევას.

5.კოლეჯი განიხილავს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

6. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, კოლეჯს უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, კოლეჯი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს ინფორმაციას მათთვის ჩარიცხვის უფლების მინიჭების შესახებ და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული შერჩევის პერიოდში.

მუხლი 23. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროგრამაზე ჩარიცხვა

1. სსიპ კოლეჯის ,,აისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს აპლიკანტის მიერ კოლეჯში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს მათი წარდგენის ვადებს.
2. კოლეჯი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.
3. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს კოლეჯი ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

თავი IX
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 24. გარდამავალი დებულებები

1. 2024 წელს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით:

ა) შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე). კოლეჯი ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა.ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის

მობილობის წესის“ შესაბამისად ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით;

ა.გ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

ბ) კოლეჯი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

2. 2024 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა განხორციელდეს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, აღნიშნული ეტაპებისთვის განსაზღვრულ ვადებში. ამასთან, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართოს კოლეჯის მიერ დადგენილი წესით, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.

3. 2024 წელს, კოლეჯის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პრაქტიკული მოსინჯვის ვადების განსაზღვრისას, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც, იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება პრაქტიკული მოსინჯვის გავლის შესაძლებლობა.

4. 2024 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის მიზნით, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი/სპეციალისტები/მულტიდისციპლინური გუნდი, მიმართვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსით რეგისტრირებული აპლიკანტის შეფასებას, ამ აპლიკანტის შეფასების დასკვნის მომზადებას და სარეგისტრაციო სისტემაში დასკვნის განთავსებას, რომლითაც დასტურდება აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების/მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა ასევე მიეწოდება შეფასებულ პირს/მის კანონიერ წარმომადგენელს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შედეგი (სტატუსის მინიჭება ან მინიჭებაზე უარი) აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.

6. 2024 წელს, პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით შეფასება არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებობს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების/მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა, რომლის მომზადებიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით არ გასულა 3 წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი ითხოვს განმეორებით შეფასებას ან ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი/სპეციალისტები/ მულტიდისციპლინური გუნდი საჭიროდ მიიჩნევენ განმეორებით შეფასებას. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში არ ხდება აპლიკანტის განმეორებითი შეფასება, გამოყენებული უნდა იქნეს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების/მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისთვის განსაზღვრული წესით შედგენილი ბოლო დასკვნა.

7. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, 2024 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და კოლეჯში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.
8. 2024 წელს, ამ წესის 201 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლის მიერ განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მე-10 კლასის დაძლევა, ამასთან, პირს არ უნდა ჰქონდეს დაძლეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხური.
9. საკითხები რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ წესით რეგულირდება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ -ს შესაბამისად.